

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“
საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14 (21), 1999 წ. მუხლი 62) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 29-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. 30-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით 30 კალენდარული დღის ზანგრძლივობით. შვებულებაში გასვლისას მას მიეცემა მატერიალური დახმარება ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი

2005 წლის -----

№ -----